გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №178

2023 წლის 13 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული №21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „გროსფარმ“-ის დირექტორის განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში არსებული პანმდემიის გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გროსფარმ“-ი ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რის გათვალისწინებითაც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №183 განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა ორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებულ პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 ხელშეკრულებაში და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განისაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „გროსფარმ“-ის დირექტორის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. განცხადების თანახმად, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული პროექტის მიხედვით, დაწყებულია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (მოხსნილია მიწის ნაკვეთის ფენა, შტანილია 1 მეტრის სისქის მყარი მასალა და დამუშავებულია ვიბროკატოკით, მიყვანილია კომუნიკაციები, ტერიტორიაზე მიტანილია სამშენებლო დამხმარე მასალა). აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გროსფარმ“-ის დირექტორი აცხადებს, რომ მთლიანობაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 1 (ერთი) წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე